

ოდეს და არავისთვის არ არის საწინააღმდეგო.

ამისთანა კაცები უნდა გვეყოლოს ჩვენ წინამძღოლებათ, მარშლებათ; — დღეს ეს აუცილებელ საქმეობას შეადგენს. შემცდარი იქნება, ვინც იტყვის, რომ ამისთანა კაცებს ჩვენ ვერ ვიშოვით; ჩვენი ქვეყანა ღმერთმა ისე ნუ დააღარბოს, ნუ დაამციროს!

მხოლოდ ეს უნდა მივიღოთ სახეში: თითქმის ყველანი იმათგან, ვინც შემომოყვანილ ღირსებებს მქონდა ჩვენში, ღარიბნი არიან, იმათ უსასყიდლოთ სამსახური არ შეუძლიანთ, რადგან ცხოვრების საშუალება არა აქვთ. — ღარიბსა და ლატაკს ჩვენს მოთავე კაცთ როგორ დავიყენებთ, ვეგებ ბრძანოთ. არა, ბატონებო! სიმდიდრით ჩვენ ვერვის გავაკვირებთ, ვერც იმით პატივს დავიმსახურებთ. მანც უნდა იყოს, ვინც დღიერ ღარიბი, ვინც გამოუჩინებელ გვარისა, თუ შემომოყვანილ ღირსებებით შეჭურვილი იქნება და თავდაზნაურობა მოთავეთ ამოიჩინებს, იმას ყოველთვის შესაბამის უფრადლება ექნება მმართველობისაგან მიტყუული, როგორც საზოგადოების წარმომადგენელსა; — ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

ჩვენი დარწმუნება მხოლოდ სიღარიბეშია; იმ პირებს, რომელიც ზევით ჩვენ მოვიხსენიეთ, უსასყიდლოთ ჩვენი სამსახური არ შეუძლიანთ. მაშ რა ექნათ? ამის პასუხი, ცოტა არ იყოს საძველოა. ახლა მივედი იმ საგანზე, რომელიც ეგებ ჩვენს თავდაზნაურობას არ მოეწონოს და დიდი უთანხმოება გამოიწვიოს, თუ ჯეროვანათ არ დაუკვირდა. მაგრამ, თუ რაც ზევით მოგახსენეთ, იმის თანახმა იქნებით, მაშინ არც ამ ჩემი წინადადების წინააღმდეგი გახდებით.

მიუცილებელად საქმეობა, რომ ჩვენ, თუ მართლა გამოსადგე კაცებს ავირჩიეთ მარშლათ, ჯამაგირიც გაუჩინოთ. ჩვენ გვაქვს ბანკისაგან შემოსავალი, რომლის დანიშნულება არის საზოგადო საქმეობათა დახმარება. რაც ზევით მოგახსენეთ, თუ მოიგონებთ, იმედი და მეთანხმებით, რომ ახლანდელ დროში ჩვენს მარშლებს დიდი მნიშვნელობა ექნებათ, შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოგვიტანონ, და დაწინაურონ ჩვენი თავდაზნაურობა. მაშასადამე ამ შემთხვევაში ჩვენი პურ-შაობა, სიძუნწე და ხელის-მოჭირება უადგილოა. ხუთასი თუმანი იქნება, თუ ექვსასი — ჩვენთვის დაკარგული არ იქნება; ეს ჩვენი ხარჯი ერთი-ათად, ერთი ოცად მეტ სარგებლობას მოგვითქვას. იმ პირებს ეცოდინებათ, რომ ჩვენ აღმოვიჩინეთ ისინი ჩვენ-და-სამსახურად, ისინი ვალდებული იქნებიან საქმეობისა-და-გვარად აცნობონ მმართველობას, თუ რისი მთხოვნელი ვართ, რა გვეჭირება, აცნობონ გულგახსნილად, დაუფარავად, უშიშრად და თამამად და იმ ღირსებით, რომელიც შეშვენილ ჩვენს თავდაზნაურობას, აგრძე დამსახურებულს და გა-

მოჩენილს. ეს ჩვენთვის დიდი სასარგებლო საქმე იქნება და საქმეები, ყოველი რუსეთის კუთხისაგან ყურადღების მისაქცევი.

ამ ჩემი აზრის გამოხატვით აღმოვიჩინე ეს შემთხვევა, რადგან მუთათის თავდაზნაურობა შეკრებილია ბანკის თაბაზე მუთათისში. ბანკის დამაარსებელთა კრებას შეუძლია იქონიოს ამაზედ მსჯელობა და გადაწყვეტოს ამ ქამად, თუ რამოდენად საფუძვლიანი და საქმეობა ზემო მოყვანილი წინადადება.

მაგრამ აქ ერთ საგანსაც უნდა მივაქციო ყურადღება. ისინი, ვისაც მარშლების არჩევანში ხმა აქვთ, ცოტანი არიან; ბანკის დამაარსებელთა და მათ რიცხვში დიდი განსხვავებაა. წინეთ, ვისაც ჩინი ჰქონდა და ამასთანავე შემამულე რყო, ყველას კენჭი ჰქონდა; ახლა კი ან ოცი კომლი დროებით-ვალდებული ყმა უნდა ჰყავდეს, ანუ ათას-ხუთასი დენიანი ნაწილი უნდა ჰქონდეს. ამ დებულებამ დღიერ შემამცირა მუთათის თავდაზნაურობის მნიშვნელობა, წაერთო უმეტეს ნაწილს უფლება განაგოს თავიანთი საქმეები. თავდაზნაურობას შეუძლია თავისი მარშლის თაოსნობით მიჰმართოს მმართველობას და სთხოვოს ცენზის შემცირება, რადგან მუთათის თავდაზნაურობა ადგილ-მამულით ღარიბია და უმეტეს ნაწილს არა აქვს ის ცენზი, რომელიც ახლა მოითხოვება კანონისაგან. შეტყველია, მმართველობა უარს არ ჰყოფს ამ კანონიერ თხოვნაზე, და მაშინ ყოველი გადაწყვეტილება იქნება დამყარებული ნამდვილ-თავდაზნაურობის და არა მის უმცირესის ნაწილის აზრზე; მაშინ როგორც ბანკის დამაარსებელნი, აგრეთვე მარშლების არჩევანში კენჭის მქონენი თითქმის ერთსა და იმავე რიცხვს შეადგენენ. — უკვე განაგებენ თავიანთ საქმეებს.

ამ საგანს იმისთვის მივაქციე ყურადღება, რომ ეგებ სთქვან — ჩვენს მარშლების არჩევანში კენჭი არა გვაქვს, იქნება ისეთი კაცები ამოიჩინონ, რომელნიც არ იქნებიან ღირსი, და ამისთვის ვერ გადაწყვეტთ მარშლის ჯამაგირის დანიშნასაო.

იმედი, თ. ნესტორ წერეთელი, ახლანდელი წინამძღოლმელი მუთ. გუბ. თავდაზნაურთა მიიღებს ამ შემთხვევაში თაოსნობას და იშვამდგომლებს უმაღლეს მმართველობასთან, რომ ცენზი შემცირდეს და თავდაზნაურობის უმეტეს ნაწილს მიეცეს კენჭი მარშლების არჩევანში. ამითი თ. ნესტორ წერეთელი დამსახურებს მრთელი იმერეთის და სამეგრელოს დაუვიწყარ მადლობას.

თუ კი ერთის მხრით თავდაზნაურობა მოინდომებს და მეორეს მხრით გუბერნიის მარშალი, მათი თხოვნა და ცდა უმაღლესის მმართველობის წინაშე უნაყოფოდ არ დარჩება. ეს ორი საგანი, რომელიც ამ წერილით ვაუწყე იმერეთის საზოგადოებას, ერთმანერთზე გადაბმულია, და

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თავდაზნაურობა დაწყნარდით, მოფიქრებით, აუჩქარებლათ იქონიებს ამაზე მსჯელობას და დაადგენს ისეთს გადაწყვეტილებას, რომელიც ერთის მხრით სასარგებლო იქნება და მეორეს მხრით საქმეები. ამაზედ თუ შემთხვევა მოითხოვს, კიდევ გვექნება შემდეგში საუბარი.

გლ. მიქელაძე.
თფილისი, 28 აპრილს.

თფილისის სააზნაურო ბანკის კრება

26 აპრილს. (დასასრულა *)

მეორე საგანი, რომელიც უნდა განვიხილო კრებას, იყო აწ-მდგომარე 1881 წლის (მეტა ანუ გასაგლის ანგარიში. ზედამხედველ კამიტეტის წინადადებით, რადგან ამ წლიდამ ბანკს ოპერაციები ემატება, ამიტომ საქმეც, შრომაც მიემატება და ბანკის გამგეობისათვისაც მომეტებული ხარჯი არის საქმეობა. დღემდინ ბანკის გამგეობაზე წელიწადში სულ ოც-ათას მანეთადღინ იხარჯებოდა. ამ წელს კი გამგეობის ხარჯი, ზედამხედველ კამიტეტის აზრით, 26,100 მან. უნდა იქნეს; ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს და ორი დირექტორს თითოც ორმოც-და-ათი თუმანი მოემართოს, მეხუთე დამფასებელი დანიშნოს და აგრეთვე კანცელარიის ხარჯისთვისაო.

თავ-მჯდომარემ იკითხა — ვის ჰსურს ამ საგნის შესახებ ლაპარაკიო.

შადიკოვმა სთქვა, ძალიან მიკვირსო, რომ გამგეობის წევრების ჯამაგირის მომატებაზე წინადადებას გვაძლევნო. ძანცელარიას იქნება დასჭირდეს წლებადღელი წლიდამ მომეტებული ხარჯი, მაგრამ ვერ გამიგია, ბანკის თავმჯდომარეს და დირექტორებს რად უნდა მოემართოს ჯამაგირი. იმათ თვითონ გამოაცხადეს, რომ თითქმის არაფერი საქმე არა აქვსთ, ჯამაგირი უიმი-სოთაც კარგი ეძლევათ (თავმჯდომარეს 3,000 მან. და დირექტორებს თითოც 2,000 მან.) და, ჩემის აზრით, ჯამაგირი სრულიად საკმაო, რადგან ჯამაგირს გარდა, ისინი შემდეგში ერთ-ორად და ერთი-სამად უფრო მომეტებულ სარგებელს მიიღებენ წმინდა მოგებიდამ, ვინც დღემდინ იღებდნენ... ამის გამო, ჩემის აზრით, ბანკის გამგეობის წევრებს ჯამაგირის მომატება არ ეჭირება.

აფხაზის აზრით, მომეტებული მოგება დარჩება ბანკს, უმჯობესი იქნება, რომ ეს მოგება სააზნაურო სკოლას მოხმარდეს საზოგადოთ განათლებას, ვინც ჯამაგირზე წავიდეს. ამატუნი ამტკიცებს, რომ თუ კარგი და საიმედო კაცები გვინდა ბანკის გამგეობად, ჯამაგირიც ვეროვანი უნდა დაუნიშნოთ და იმდენი საშუალება მივცეთ, რომ სხვა საქმეს არაფერს მოჰკიდონ ხელი და მთელი თავის დრო და მეცადინეობა მხოლოდ ბანკს მოახმარონ.

*) „დროება“, № 86.

ბანკის გამგეობის თავმჯდომარე თ. ივ. ჭავჭავაძე თხოვლობდა, რომ წაკითხულ იქმნეს, ამ საგნის შესახებ, აზრი გამგეობისა.

წაკითხეს ეს გამგეობის წინადადება და აღმოჩნდა, რომ გამგეობა თავისთვის ჯამაგირის მომატებას არ თხოვლობს და მთელი იმის სმეტა შეადგენს 25,000 მან.

კრებამ მაილო ეს უკანასკნელი წინადადება გამგეობისა, რომლის ძალითაც გამგეობის წევრებს ისევე თავის ძველი ჯამაგირები ექნებათ.

შემდეგ კრება შეუდგა ბანკის გამგეობის ერთი წევრის ამორჩევას სამაგიროთ დირექტორის თ. ალ. ხ. ჩოლაყაშვილისა, რომელსაც სამი წელიწადი შეუსრულდა და რომელიც წესდების ძალით, უნდა გამოსულიყო გამგეობიდან.

ძანდიდატად იყო მარტო იგივე თ. ა. ჩოლაყაშვილი, რომელსაც კენჭისყრას უპირებდნენ.

— თუ მაგის მეტი არავინ არის კანდიდატი, კენჭის-ყრა რაღა საქმეობა! ბარემ უკენჭოთ ამოვირჩიოთო! დაიძახა ვილამაც.

— ძენჭის-ყურვლად არ შეიძლება! ძანდიდატი აღმოჩნდებო!

— აბა ვინ არის, დაგვისახელეთ.

კრებაში შეიქნა ხმაურობა. ქველანი ყვიროდნენ და კანდიდატების დასახელებას კი არა ეშველა-რა. ამ დროს თვითონ თ. ალ. ჩოლაყაშვილი წამოდგა წინ და სთქვა, რომ მე ჩემის მხრით ბ. მახტანგ დ. თულაშვილი და თ. ივ. ბ. მაჩაბელი დამისახელებია კანდიდატებათო.

— მე არ მსურს კენჭი ვიყაროო! სთქვა თ. ივ. მაჩაბელმა.

ქველა მ. დ. თულაშვილს შეაცქერდა.

— მე არ მსურს ვიყარო კენჭიო, სთქვა ამაწაც, მაგრამ, თუ საზოგადოებას ჰსურს, თანახმა ვარო...

ორი კოლოფი დადგეს კენჭის-საყრელად, ერთი თ. ა. ხ. ჩოლაყაშვილისა და მეორე მ. დ. თულაშვილისათვის, და დაიწყო სიით კენჭის ჩაღდება.

ძენჭმა გაასწორა ესენი: ჩოლაყაშვილს ამოუვიდა 40 თეთრი და 9 შავი, თულაშვილს — 14 თეთრი და 33 შავი. ამორჩეული დარჩა ისევე ძველი დირექტორი თ. ალ. ხ. ჩოლაყაშვილი.

დირექტორის კანდიდატად კენჭის-ყურვლად ამოიჩინეს თ. ალ. ხ. სუმბათოვი და თ. რაფ. შრისთავი. დამფასებელი კანისის მესხეთე წევრად თ. ივ. ბ. მაჩაბელი.

ასე წყნარად, უშფოთველად გათავდა მთ. თავდაზნაურთა საადგილ-მამულიო ბანკის დამაარსებელთა საზოგადო კრება. მანხოთ ახლა — რას გვეტყვის მუთათისი, ასე წყნარად და უშფოთველად გათავდება იქაც საქმე, თუ ჩვეულებრივი შენეთქება, ხრმლის-ტრიალი და გაცხარება იქნება...

ახალი ამბები.

ბუშინ, ორშაბათს (27 აპრილს), ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იყო საზოგადო კრება „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“. ამ „საზოგადოების“ წესდება წლებულ გამგებელ კომიტეტის თაოსნობით და მთავრობის ნება-დართვით, ცოტად თუ ბევრად შეცვლილ იქმნა, და ერთს უმთავრეს-თავანს ცვლილებას შეადგენს ის მუხლი წესდებისა, რომლის ძალით საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელი წევრნი ჩარცხულნი იქმნებიან აგრეთვე „საზოგადოების“ წევრთა რიცხვიში.

„თავად-აზნაურთა საზოგადოების“ სკოლა როგორც მოგვხსენებთ, იკვებება ნაშენად იმ ფულით, რომელიც ყოველ წლივ შემოსდის მას ბანკიდან; ეს ფული რო მოაკლდეს, სკოლა ერთ დღესაც ვერ იცოცხლებს. მაშასადამე სკოლისა და ბანკის მებატონენი შორის მჭიდრო კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულობა უნდა არსებობდეს: სკოლა და მისი გამგენი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ბანკის დღევანდელი შემწეობა ხელაღ არ მოაკლდებათ. საქმის წარმატებისა და წინ-წაღდომის თამაშუქიც, ყველაზედ-უწინარეს, ამ რწმენაშია გამომდინარე. დღეს იქით ბანკის მებატონენი არიან არა მარტო გარეშე შემწენი, არამედ სკოლისავე მებატონენიც. ამ გარემოებას მოსდევს კიდევ სხვა გვარი სიკეთეც. უშინ „თავად-აზნაურთა სკოლის საზოგადოების“ საზოგადო კრებას დაესწრებოდა ხოლმე ორიოდ-სამი კაცი, მეტი არა. შალა კი შემოსხენებული მუხლის ძალით, ამ კრებას სიცოცხლე დაეტყო, — სიცოცხლე, რომელიც, რასაკვირველია, სკოლის გამგეთაც მეტს ხალხს მიაცემინებს მათ მოღვაწეობაში.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ის შესანიშნავი აზრი, რომელიც წარმოთქვა გუშინდელ კრებაში თ. პლექანდრე ჩოლაყაშვილმა: სანატრელია რომ შემდეგში ჯერ ამ „საზოგადოების“ კრება მოხდეს ხოლმე და მერე ბანკის კრებოა, რათა ბანკის წევრთ წინააღმდეგ ჰქონდეთ შეტყობილიო სკოლის საქმის მსვლელობა და ავ-კარგიანობა. ეს აზრი, რასაკვირველია, იმავე კავშირისათვის და დამოკიდებულობისათვის არის მომართული, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ.

„ზამგებელ კომიტეტმა“ წარუდგინა კრებას შარშანდელი წლის ანგარიში, რომელიც დამტკიცებულ იქმნა და რომლისათვის „საზოგადოებამ“ მადლობა განუცხადა „კომიტეტს“. ამ ანგარიშზედ არას ვიტყვი, რადგანაც ამ დღეებში მთლათ იქმნება დაბეჭდილი „დროებაში“.

„საზოგადოებამ“ მადლობა განუცხადა თ. ივანე ქოსტანტილეს-ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომელმაც შესწირა „საზოგადოებას“ ორმოც-და-

ათი თუმანი და რომელი, ამის გამო, წესდების მეხუთე მუხლის ძალით, ძილებულ იქმნა საზოგადოების საპატიო წევრათ.

ძრებამ მიანიჭა კომიტეტს უფლება სთხოვოს შემდეგში ბანკის წევრთ რაიმე საშუალება აღმოუჩინონ სკოლის საკუთარის სახლის საყიდლად, ანუ ასაშენებლად.

ხვალ, ხუთშაბათს, იწყება მუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა კრება. შევაცნობებენ, რომ ეს კრება ძალიან გაცხარებული კრება იქნება, რადგან ბანკის თავისმჯდომარეს არჩევენო. ხალხი ახლაც ბლომად ჩამოვიდა საფლებიდან და კენჭის-ყრის დღისთვის თითქმის ყველა მეკენჭე მეგრელებს მოელონო, ასე რომ სულ უკანასკნელი 600-700 კენჭი მოგროვდებაო.

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ტელეგრაფები და ვრცელი ანგარიში მუთაისის კრების შესახებ.

ბუშინ, ორშაბათს, ქართულმა ტრუბამ, ქველ-მოქმედების მიზნით, წარმოადგინა ბ. ქრისტეის ხუთ-მოქმედებანი კომედია „დაგზ“.

რამდენიმეჯერ წარმოადგინეს ეს პიესა და ყოველთვის ერთი-და-იგივე ნაკლულევანება შეუნიშნავს მკითხველს: უადგილო ალაგს ჩართული ლექსები ამანინჯებენ უიმისოთაც სუსტ პიესას, რომელსაც ერთ დროს იქნება რამე მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ახლაც იგი ჩვენს სცენაზე თითქმის არავითარი ინტერესი არა აქვს. უზუნდელ წარმოდგენაზე ამ ნაკლულევანებას კიდევ ისიც დაემატა, რომ არც ერთმა მოთამაშემ თავის როლი არ იცოდა და სუყველანი მანანასავით სუფლიორის ბუტკიდან მოელოდნენ შევლას...

ძვეკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გარდაწყვიტა, რომ რამდენიმე ყმაწვილი კაცი გაგზავნოს ძვეკასიიდან შირიმში ფილოქსერის გასაცნობლად. სულ, ამბობენ, 12 ყმაწვილი გაიგზავნება, ლომელნიც ბარონ ქორფის ხელმძღვანელობით ისწავლიან.

მიზანი საეურნეო საზოგადოებისა ამ შემთხვევაში ის არის, რომ, როცა მცოდნე კაცები იქნებიან ჩვენს ქვეყანაში, ფოლოქსერა რომ კიდევ განდეს, ამათის საშუალებით შეიძლება საქირო ღონის-ძიების ხმარება ამ ვაზის ავთამყოფობის მოსასპობელად.

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ახალ-სენაკის, ლეჩხუმისა და ზუგდიდის რევიზიის ერთი შედეგთაგანი ის აღმოჩნდა, სხვათა შორის, რომ ახალ-სენაკის მაზრის უფროსის ბ. ბ. ბებურიშვილი უნდა გადააყენონ თავის თანამდებობიდანაო.

თფილისის ქართული ტრუბა, როგორც გვაცნობებენ, დღეს ან ხვალ

მიდის მუთაისში, სადაც რამდენიმე წარმოდგენის გამართვას აპირებს.

შოთილამ გვეწერს: „სხვა-და-სხვა ცულა ამბებთან შესაძრწუნებელი უბედურებაც მოხდა შოთში გუშინ: „პარახოდით მოვიდა სხვათა შორის ორი სომეხი ვაჭრები, ერთი აქული-ხელი ანანია ღვითიანცი, და მეორე მსმალოს ქვეშევრდომი ძარაპეტ სარქისიან ტერ-მართანიანცი. მორიგენი ერთად დამდგარა „ლონდონის“ სასტუმროში. დღეს საათის პირველზედ ღამისა ტერ-მართანიანცი მძინარეს ღვითიანცს მიჰპარვია და დანთ ყელი გამოუტყრია. მამაკედავის ხრილი გაუგონათ სასტუმროს მოსამსახურეებს, მისულან ნომერთან, შესვლანდომიათ, მაგრამ კარი შიგნიდან ჩაკეტილი ჰქონია ტერ-მართანიანცს; მერე უცებ გაულია კარები, გამოვარდნილა და გაქცეულა.

მეორე საათზედ უცნობებით პოლიციისათვის; მაშინათვე პოლიცია გამოჰკიდებია დასაქერათ, ხოლო კარგა ხანს ვერ უნახავთ. მკვლეელი თურმე ბაღში დამალულა, პოლიცია კი სხვაგან ეძებს. შემდეგ დიდს ძებნისა უნახავთ, მდინარე ჩიონში სადაც მიცურავს, თურმე გადავარდნილი თავის დასახრობად. ხან ჩნდებოდა, ხან ისევ წყალში ჰყვინთავდა. პოლიცია დასდევნებია ნაპირ-ნაპირ, შემდეგ წყალში ყვირილი დაუწყია და ნაპირისათვის მოუშურებია. ამასობაში დაუტყრიათ.

მკვლელობა ჯერ იკისრა, ფული ემართაო, დიდს ხანს მატყუებდაო, მოთმინებდამ გამომიყვანა და მოკალიო; მერე უარი სთქვა, მე არ მომიკლავსო, ჩხუბი მოგვივიდაო და თითონ გაიყარა დანა ყელშიო. მკვლელს არაფერი არ წაულია მოკლულისა. როგორც ხალხის ლაპარაკით სჩანს, ღვითიანცს სამადლოსავით წამოუყვანია სამხლერ გარეთილამ და ნაცვლათ მადლობისა სიკეთე ამ ნაირათ გადუხადა.

ამავე საგნის შესახებ აი კიდევ მეორე ცნობა შოთილამევე: „წუხელი ღამით აქაურ „ლონდონის“ სასტუმროში მოხდა საზარელი მკვლელობა: ამხანაგმა თავისივე ამხანაგს, რომელიც მათთან ერთ ოთახში იდგა, გამოსჭრა ყელი ძილში, ამ გიჟათ დაჭრილ კაცს რომ დაეწყო თავის მკვლელთან ბრძოლა, მკვლელს მეორეთ დაეცა დანა სფეტქელში და კიდევ გაეთავებინა. მითონ გამოკეტა ოთახის კარი და გაქცეულიყო ნავს-დგურისკენ თავის დასახრობათ ჩიონში. ამ დროს სასტუმროს მოსამსახურეებსაც გაეგოთ უკანასკნელი ტანჯვა მომაკედავისა და შეეტყობინებინათ პოლიციისათვის. პოლიციის პრისტავს ჩიქოვანს პირველს მოეწრო იმ დროს, როცა მკვლეელი უკვე იხრობოდა.

შევარდნილან ფილუკებით წყალში და გამოუთრევიათ.

„მიხეხს მკვლელობისას სხვა-და-სხვა ნაირათ ამბობენ. ნამდვილ მიხეხის გაგებას უნდა მოველოდეთ ვამოძიებოდან, რომელიც უკვე დანიშნულია.“

„დროების“ კორექსიონდენსია.

ბათუში, 18 აპრილი. მთელ ბათუში ელვისავით მოფინა ბათუმის სამხედრო ლუბერნატორის ლენ. მაიორის კამარაგის გამოცვლის ამბავი. საჭიროთ არ ვსთვლი იმის თქმას, თუ ამ ამბავმა რა ნაირი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე... — ამას ისინი მიხედებიან; ვინც იციან და წაუკითხავს ბათუმის და მისი მაზრის მცხოვრებლების მდგომარეობა.

ჩვენ მხოლოდ მივეგებებით ბათუმისათვის დანიშნულ ლენ. მაიორს სპეკულაციას იმ სიტყვებით, რა სიტყვებითაც მეცხრე საუკუნეში რუსებმა მიმართეს რიურისკს:

„Земля наша велика и обильна, а порядка в ней нет; придите, вняжите и владѣйте нами.“ — და ვინატრით ყოველ ნაირათ შეწუხებულ ბათუმის და მისი მაზრის მცხოვრებლებისათვის, რომ ბ-ნი სპეკულიაცი ყოფილიყოს მისი ნამდვილი მწყემსი და არა იმათი, რომლებმაც სამი წლის განმავლობაში, თავიანთთვის მამულების შექმნისა, სავაჭრო საქმეებისა და სახლების კეთების მეტი არაფერი გაურიგებიათ-რა და დღესაც იმის კეთებაში არიან.

სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ როდესაც ბ-ნი სპეკულიაცი დარწმუნდება იმათ ვინაობაში და იმაში, რომ დღემდე თავიანთ სარგებლობის გარდა არაფერი გაურიგებიათ და რაც გაუკეთებიათ, ისიც ხალხისთვის გამოუდგარი, მაშინ იმისთანა ხალხს შესანანებლათ იერუსალიმის გზას დაულოცავს...

სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ბ-ნი სპეკულიაცი ერთი „წვირილ-შვილიან“ ოჯახის პატრონის შეწუხებას არჩევს, ვინმეც ასე და ათასი სულის შეწუხებას, რომლებიც მხოლოდ პროტექციით სარგებლობენ, და ისე ვსმისთ ხალხის მოთხოვნილება და მისი სამსახური, — როგორც ეხლა მე ის, თუ რას ჰფიქრობს ჩინეთის იმპერატორი.

სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ბ-ნი სპეკულიაცი არ იქმნება იმ ნაირი შეხედულებების, რომ თუ ხალხმა იმასთან იტირა იმის რომელიმე ჩინოვნიკზე, რომ „ბატონო, გავაგებებ აგიკლო, ყველაფერ სისაძაღლეს ჩადის და ჩვენი შეწუხების არაფერი ვსმისო,“ და ამას ისე გაიგებს, (და თუ სხვაგანაც დასჭირდა, ისე ახსნის), რომ ვითომც ეს ყოფილიყოს მთავრობის ერთგული და კანონების სციინდისიანათ სისრულეში მომყვანი, და ხალხს მტარავლისაგან განთავისუფლების მაგიერ მტარავლს არ გააბნევიებს მადლობის თქმით. და თუ



ხალხმა მადლობა უთხრა თავის რუმელიმე ჩინოვნიკზე, ამას ისე არ გაიგებს, რომ „რადგანაც ხალხი მადრიელია, უთოროტ ქრთამს უნდა სკამდეს, უნდა ლუპავდეს სახელმწიფო ინტერესებს.“

სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ბატ. სმეკალოვი იმისთანა პირებს მადლობას არ ეტყვის, რომლებიც თავიანთი ჯიბების გასატენათ მოინდომებენ ოინბაზურ საქმეებით ხალხს დანიშნულზე მეტი გადასახადი გარდახდევინონ, რა არის ვითომც ერთგულები არიან, რომ ხაზინაში ათასი მავიერ სამი ათასი შეიტანონ!

იმედს ვაცხადებთ, რომ ბატ. სმეკალოვი ხალხის მდგომარეობას, მათ შეწუხებას და მათ მოთხოვნებს ნამდვილათ გამოიკვლიეს უმაღლეს მთავრობისათვის გასაცნობათ და რა ნაირ დასკვნას არ გამოიყვანს, რომ ვითომც ესენი ისე გამოუდგვარნი იყვნენ, რომ ყოველივე შემთხვევაში მათი მამულისაგან სარგებლობისათვის მათი სამშობლოდან განდევნა და მათი შემცირება საჭირო იყოს, რომ ოდესმე არავის თავი არ ასტივდეს და ბევრი ხარჯი არ მოუყიდეს ამათი დამონებისათვის და დამშვიდებისათვის...

სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ბ. სმეკალოვი მალე გაიგებს ამთ ჩვეულებას, ხასიათს, ცხოვრებას, შეხედულებას და თავმოყვარეობას და თუ ოდესმე დასტირდება ამათი მოხიზობა რაიმე საქმისათვის, უკადრისი სიტყვებით არ მიჰმართავს, რომელიც არა თუ კანონის, არამედ გაზდილობის წინააღმდეგეც არის.

ღვს-ღვობით ჩვენ ჩვენ თავს მეტის თქმის ნებას აღარ მოცემთ, მხოლოდ კი დავსძინებთ, რომ თუ ბატ. სმეკალოვს მთავრობის და მისი ხალხის ერთგულება და სამახური ექმნება მიზნით, დარწმუნებული ვართ, რომ ბათუმის და მისი მახრის მცხოვრებლების ბედი სულ სხვანაირ ნაბიჯს წასდგამს წინ, და თუ კიდევ პროტექციებით დანიშნულ პირების ხელში იქმნება ხალხის ბედი, მაშინ წინასწარმეტყველობა არ დასტირდება ვისმეს, თქვას, რომ ბათუმისა და საზოგადოათ აქურ ხალხის კეთილდღეობას არ უნდა მოველოდეთ...

განსხვავებანი

თფილისის ქალაქის

გაგებობისაგან

თფილისის ქალაქის გაგებობა ამით აცხადებს სყოველთაოდ, რომ რადგან ცხენის გადასახადის მოპყრები მეიჯარადრენი თფილისის მერე გილდის ვაჭარი მარტინოს ნუნუფაროვი და ალექსანდროპოლის ვაჭარი სიმონ მატინოვი ამ საქმიდამ გადაყენებულნი არიან, ამის გამო ამ მასის 12-ს,

გამგეობის თანდასწრებით, იქნება ვაჭრობა ამ იჯარის გაცემასზედ.

დაწერილებით პირობების შეტყობას მსურველს შეუძლიან ქალაქის გამგეობის განცხადებაში მუდამ დღე დღის 10 საათიდან შუადღემდინ, გარდა უქმ დღეებისა და სასეღმწიფო დღესასწაულებისა.

სასამ მოიჯარადრე აღმოჩნდება და ეს საგანი იჯარით გაიცემა, ცხენების მატრონები ვადდებულნი არიან, რომ სვედრი გადასახადი ცხენებისა პირდაპირ უპყვასი (გამგეობაში) წარმოადგინან. (3-1)

მისაც აქვს ძველი ქართული წიგნი „ჯვარ-შემოსილი“, უმორჩილესად ესთხოვთ წარმოადგინოს რედაქტორში. მრთს სამღეთო წერილის მოყვარეს ჰსურს იმის დაბეჭდვა. დაბეჭდვის შემდეგ წიგნი პატრონს დაუბრუნდება და რამდენიმე დაბეჭდილი ეგზემპლარიც მიეცემა. (3-2)

ლონდონის მალაზია

გამგეობის დაწესებულება ნამდვილი ჩინოვანისადაც ვირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თფილისა, რეკლავურებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კადატებისა, დანებისა, ვაჭურებისა, ჩაინიკებისა, მოკლადისა, კაგასისი, დუხებისა, საზონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახიცისა, ქალაღისა, კარანდაშებისა, კაღმებისა, უნაგრებისა, სუგრისისა (გემრედი გლეშეკინი ზეთისა) და სხვ. სააკეტო მატინოვის მოსახურაგებს გასასყიდლად განუეტების და ბატკურის და გამ. მურებისა, აგრეთვე ჩუღებისა და წინდებისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ჭაგანს იგარები. (100-54)

თფილისის ქალაქის გაგებობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კონო-ჟანდარმის კამანდისათვის საჭიროა სადგომი ვერაზე, შვიდი ოთახი, თავის სამხარეულოთი, სარაით და ეზოთი 400 ოთხ-კუთხ საყენით, ექვსი წლის ვადით. სადგომის ქირას ქალაქი 850 მანეთს მისცემს წელიწადში.

მსურველს შეუძლია მიმართოს ქალაქის გამგეობაში (შპრავში) მუდამ დღე, დღის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდინ გარდა უქმ დღეებისა. (3-3)

მიუხედავით იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ხაი

1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშენიერი ვასისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეიდ კარგი ჩაი 2 მ. გირვასქა უქალაღლოთ.

ინგლისური რეკლავურ ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თფიები 20—200 მანეთამდინ. ინგლისის მალაზიაში. სააკეტო პარსების უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტებისა, მოკო-

დადისა და ექსტრატისა კაკაო ჭრისა, რომელთაც დაიმსახურეს ჰარიუს მსოფლიო გამოფენასზედ ოქროს მენდალი. გირვასქა არმატიული ჩინის ღამაზი ჩინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭურები მოიგებენ, თუ იყიდინ ბლომთ ინგლისის მალაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების ვახჭეტები 60 კ. ერთი გირვასქა. 100—52

დასპიდვის დროს ინგლისის მალაზია

იყიდება შარვლები 4 მან-დამ. თელა ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 მაურადამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რეგორველები 4 მან.—40მ-დი ქულები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3 მ. მ-დამ.; კონიაკი 1 ხარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტკენი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქალაღლოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქალაღლოთ.

იქვე მრავალი ტახტები, ფონდონები, კლიტები, დანები, კოვზები, კალმები, ქალაღლი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქენები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იათათ ვინემ სხვაგან. (15-7)

ლონდონის მალაზია

პრენის მოედანზე მ. 2-ს კომპერტულ ბანკის ქვეშ, დაიმსახურეს წმინდა მიხტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩინის გასაყიდველად და ასუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რეგოლოვრებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფონდონი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ტიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებლის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულტების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100-54)

მასწავლებელი ძალი

რომელმაც სწავლა შეასრულა ერთ მილიონის სასწავლებელში, აძლიეს გაკვეთილებს, ამზადებს ყმაწვილებს ყველა სასწავლებელში და მიიღებს მსურველთ სდგომზედ, რომელნიც იფლიან-3 მან. და რომელნიც მუდამ ბინათ ყველაფერს დამზადებულზედ 23 მანეთად. ადრესი: მესამე ნაგორის ქუჩა № 20, სარქისოვის სახლგბი, ჭავჭავაძის ქუჩით. (3-3)

სუფრის მოწყობილობა

სასუფეები, ჩინის სერვისი და სხვ. ბრიტანიის მეტალითა. მურაბა და სხვ. ითვალ ინგლისის მალაზიაში. (10-7)

წლიური ანგარიში

კავთისხვევის შემსახველ-ამხანაგობას 1880 წლის 1-ს იანვრიდან 1881 1-ს იანვრამდინ

| შემოსავალი: | მან. | კ. | გასავალი: | მან. | კ. |
|-------------------------|-------|-----|---------------------------|-------|-----|
| საწევრო ფული 41 წევრისა | 789 | — | ნასყიდი საქონელი არის | 3,617 | —90 |
| მოსაწყობი | 35 | — | ხარჯები ღუქნის ყოველნაირი | 771 | —23 |
| საანგარიშო წიგნებისა | 1 | —30 | ძასაში აღმოჩნდა ნაღდათა | 337 | —13 |
| ზაყიდული საქონლიდან | 3,600 | —96 | | | |
| | | | სულ | 4,426 | —26 |

საქონლის ხადასი ანგარიში ამავე დროის

| | მან. | კ. | | მან. | კ. |
|--|------|---------------------------------|------------------|------|----|
| დარჩენილი მალაზიაში საქალელი | 384 | —25 ¹ / ₂ | საწილო ფული არის | 789 | — |
| ძასაში ნაღდი ფული არის | 337 | —13 | მოსაწყობი | 35 | — |
| ნისიათ გაცემული არის ხალხზედ | 208 | — | | | |
| ანგარიშის დროს დახლილარზედ მიხვილ ქანდელაკზედ აღმოჩ. ნაღდი | 134 | —67 | | | |
| საყასბოს საწარმოებლათ არის გადაღებული თავნის გარდა | 100 | — | | | |
| | | | სულ | 824 | — |

საწილი წიგნები

თავმჯდომარე და საქმის მწარმოებელი იოსებ ცხვედაძე, დიმიტრი შეშაბურძე, ტატო მჭედლიძე, იოსებ მსურველი.

გარეულ საყვარელი კანდიდატი თ. გიგოთარხანოვი, თ. ვახუღუკას-ძე და თარხან-მოურავოვი.